ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**g-95. 95223622**

თარიღი:**28/12/2022**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 24- ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის, „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-25 მუხლისა, და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.შეთანხმებული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობა და განისაზღვროს 70 (სამოცდაათი) ერთეულით.

2.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს - როლანდი ბერიძეს.

3.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 31 იანვრის №g-95.95220311 განკარგულება.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6.განკარგულება ძალაშია 2023 წლის 01 იანვრიდან.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი